

მთიანი რეგიონების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი და
გარემოს დაცვის ღონისძიებები

ზურაბ სეფერთელაძე, ნინო რუხაძე

ელ-ფოსტა: zurab.seperteladze@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჭავჭავაძის გამზ. 3, 0179, თბილისი, საქართველო

მთიანი რეგიონების ბუნებათსარგებლობის სიმადლებრივი ზონალურობის რთული სპექტრი და მისი თავისებურებანი განსაკუთრებით ნათლად არის გამოხატული აგროკლიმატური და ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებით სარგებლობაში. კერძოდ:

– დაბალმთიან სარტყელში ხელსაყრელი ბუნებრივ-სარესურსო პოტენციალია ნოტიო, ზომიერად ნოტიო და მშრალი სუბტროპიკებისათვის დამახასიათებელი სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებისა და ტურიზმის უწყვეტი ფუნქციონირებისათვის. გარემოს დაცვის პროფილაქტიკა ეროზია – მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას საჭიროებს.

– დაბალმთიანეთის ზედა და საშუალო მთიანეთის ქვედა სარტყელში (ზ.დ. 700-800 მ-დან 1500 მ-მდე) ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი ვარგისია სოფლის მეურნეობის დარგების – მემინდვრობის, მეხილეობის და მეცხოველეობის განვითარებისათვის, აგრეთვე ტურისტულ-რეკრეაციული ინდუსტრიის ფუნქციონირებისათვის. გარემოს დაცვის ღონისძიებაში მოითხოვს ეროზია-მეწყერ და ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას.

– საშუალო მთიანეთის ზედა სარტყელის (ზ.დ. 1500-2000 მ.) ლანდშაფტურ-სარესურსო პოტენციალი უზრუნველყოფს მემინდვრობის, მეხილეობის, მეცხოველეობის, ტურისტულ-რეკრეაციული ინდუსტრიის და სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის საჭირო პირობებს. გარემოს დაცვის ღონისძიებანი ეროზია, მეწყერ და ზვავსაწინააღმდეგო ბუნებრივ-სტიქიური მოვლენების წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული.

– მაღალმთიანეთის ქვედა სარტყელში (2200-3000 მ-მდე) ხელსაყრელი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალია მეცხოველეობის, ტურიზმის, სამთო-სათხილამურო სპორტის და ალპინიზმის განვითარებისათვის. გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარებაა საჭირო.

– მაღალმთიანეთის ზედა (3000 მ ზევით ზ.დ. -დან) სარტყელი პერსპექტიულია მხოლოდ ალპინიზმისათვის.

ყველა სიმადლებრივ სარტყელში ჰიდროენერგორესურსების და საშენ მასალების მძლავრი პოტენციალია. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტყეების დაცვა-გაშენებას.